

ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდებისთვის არსებული
ინტერვენციების ინტეგრაციული (მეტა) ანალიზი

თეონა ბრეგვაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი

PhD, MSW

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვას ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეონა ბრეგვაძე

21.06.2018

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი მოიცავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდებისთვის არსებული ინტერვენციების გაცნობას და შეფასებას, თუ რომელია ყველაზე ეფექტური. ამ მიზნით გავეცანი კვლევის ანგარიშებს და სტატიებს, რომლებიც ეხება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ახალგაზრდების პრობლემებს, მათი ქუჩაში ცხოვრების მიზეზებს, მათზე მიმართულ ინტერვენციებს (პროგრამა, თერაპია) და სერვისებს, აგრეთვე კვლევის ავტორთა რეკომენდაციებს პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად. აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ქუჩაში ცხოვრებისკენ ახალგაზრდებს ძირითადად მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა უბიძგებთ, თუმცა არიან უზრუნველი ოჯახიდან გაქცეული ბავშვებიც, რომლებიც ქუჩაში ახალ თავგადასავალსა და შთაბეჭდილებებს ეძებენ.

გამოყვავი 5 ძირითადი პრობლემა, რომლის წინაშეც დგანან ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდები და მათზე მიმართული ინტერვენციები, ესენია:

ტოქსიკომანია, რაც გულისხმობს აქროლადი ნივთიერებების შესუნთქვას ნარკოტიკული ეფექტის გამოსაწვევად. ინტერვენცია მოიცავს დეზინტოქსიკაციის კურსს, ფსიქოლოგის დახმარებას, ინფორმაციის მიწოდებას ინჰალანტების შესუნთქვის ნეგატიურ შედეგებზე.

კანონსაწინააღმდეგო ქცევა, რომელსაც განაპირობებს: ოჯახში ძალადობა, სიღარიბე, განათლების დაბალი დონე, აღზრდის დეფიციტი, თვითდამკვიდრების სურვილი და ა.შ. ინტერვენცია მიმართულია თემზე დაფუძნებული პროგრამებისკენ, ხოლო ინსტიტუციურ გარემოში მოთავსება გამოიყენება, როგორც უკიდურესი ზომა.

ქუჩაში მცხოვრები ბავშვები ძალადობას ყველაზე ხშირად მშობლისგან ან მეურვისგან განიცდიან, ინტერვენცია მოიცავს თემის ცნობიერების ამაღლებას, სოციალურად დაუცველი ოჯახების გაძლიერებას, რეფერირების სისტემის დანერგვას.

ტრეფიკინგი - იგივე ადამიანით ვაჭრობა გულისხმობს ბავშვთა ექსპლუატაციას, იგი ხორციელდება, როგორც შრომითი, აგრეთვე სექსუალური მიზნისთვის. მისი ინტერვენციისთვის პირველ რიგში შექმნილია უსაფრთხო თავშესაფრები მსხვერპლთათვის.

გავრცელებულია დაავადებები ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებში, მათ ხშირად ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა აღნიშნებათ, ამ პრობლემის ინტერვენცია გულისხმობს დღის ცენტრების მიერ პირველადი სამედიცინო ზრუნვით უზრუნველყოფას.

ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდებისთვის არსებული ინტერვენციების ინტეგრაციული (მეტა) ანალიზი მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს აღნიშნული სეგმენტის საჭიროებების დანახვა და ყველაზე ეფექტური ინტერვენციის დანერგვა.

საძიებო სიტყვები: ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდები, ტოქსიკომანია, კანონსაწინააღმდეგოქცევა, ძალადობა, ტრეფიკინგი, დაავადებები, ინტერვენცია.

ABSTRACT

The presented work includes the introducing of interventions and evaluations, if which is the most effective to the street-related young people in different countries of the world. For this purpose, I have reviewed the research reports and articles, which is relating to the problems of young people living and working in the street, the reasons of their living in the streets, interventions (program, therapy) and services directed to them, as well as the recommendations of research authors for carry out the preventive activities. Based on the above mentioned materials, it was revealed ,that the hard social and economic conditions mainly pushing the young people to live in the streets, but there are also children who are fleeing from the carefree family and are looking for the new adventures and impressions in the street.

I have separated 5 main problems, facing of which standing the young people related to the street and their interventions directed to them, these include :

1. Toxicomania, which implies the inhalation of the volatile substances for causing of the narcotic effect. Intervention includes the detoxification course, Psychologist's assistance, providing the information on the negative results of inhaling the inhalants .
2. Unlawful behavior , that leads to: Domestic Violence, Poverty, Low level of Education, Lack(deficit) of Upbringing, willingness to Self- Assertion and etc.The intervention is directed towards the community-based programs, but placement in the institutional environments is used as the extreme measure.
3. Violence - Children living in the street mostly suffer the violence from parents or guardians, the intervention includes the raising of community awareness, strengthening of socially vulnerable families and implementing of the abstracting(reviewing) system.
4. Trafficking - The same – traffic in persons - means the children's exploitation, It is realized both for labor and for sexual purposes. First of all, for its intervention is created the safe shelters for victims.

5. Spread Diseases - Children living and working in the street often have a lot of problems related to the physical and mental health, the intervention of this problem implies the providing with the primary medical care by day centers.
6. Meta-analysis of interventions existing for youth related to the street is important in order to see the mentioned segment's needs and inculcation of the most effective intervention.

Searching words: Street-related young people, Toxicomania, Illegal Behavior, Violence, Trafficking, Diseases, Intervention